განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი

04/05/2026

MES 2 26 0000526321

ბრძანება

თბილისი

საგრანტო/სასტიპენდიო პროგრამის - „სამაგისტრო პროგრამები საფრანგეთში France Excellence 2026-2027“ დამტკიცების შესახებ

„საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 26 დეკემბრის №524 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „თ“ და „ლ“ ქვეპუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების საერთაშორისო ცენტრის ლიკვიდაციის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 21 ოქტომბრის №470 დადგენილების, „საფრანგეთის საელჩოსთან არსებულ საქართველოს ფრანგულ ინსტიტუტსა და სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრს შორის 2023 წლის 03 მაისს გაფორმებულ „მაგისტრატურის საფეხურზე სტიპენდიების თანადაფინანსების ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2026 წლის პირველი მაისის ცვლილებათა დოკუმენტის, „სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავების მიზნით ინიციატივების/პროექტების წარმოდგენის წესისა და ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 იანვრის №28880 ბრძანების საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2026 წლის 04 მაისის №522220 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს „საგრანტო/სასტიპენდიო პროგრამა - „სამაგისტრო პროგრამები საფრანგეთში France Excellence 2026-2027“ ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის მინისტრი
გივი მიქანაძე